სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 02

2022 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის 2022 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

"სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის N1440035 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N36202, 18.01.2022) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2022 წლის სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დნართი N5-ის შესაბამისად;
7. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ხატია ანანიაშვილი, ფინანსურ კონსულტანტად განისაზღვროს - სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ბაგრატ რაზმაძე;
8. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
9. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

<u>დანართი 1</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 18 იანვრის N02 ბრძანებით

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), მათი მმართველობის სფეროში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულების აღჭურვა თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით, სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებით, კომპიუტერული ტექნიკით, საჭირო მასალებით, სათანადო ლიტერატურის შეძენის და არსებული სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის ფუნქციური გაუმჯობესების ან/და სათადარიგო ნაწილების შესყიდვისათვის, აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფა.
2. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის მე-2 ქვეპროგრამისა და ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
3. დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. დაფინანსების მოსაპოვებლად კონკურსში განაცხადის წარდგენა შეუძლიათ სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შემადგენლობაში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის „სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.
2. საკონკურსო განაცხადის (პროექტის) საკონკურსოდ წარმოდგენისა და დაფინანსების მიღების უფლება აქვს სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ან სსიპ -

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს/კანცლერს/ უფლებამოსილ პირს.

3. პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის ხელმძღვანელი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დირექტორი/დირექტორის მოადგილე.

4. **თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისათვის შესაძლებელია ერთი, ორი ან სამი პროექტის წარმოდგენა** საკონკურსოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსო განაცხადის (პროექტის) კონკურსზე წარმოდგენა და დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ლოტებში, რომლებსაც მიენიჭა შემდეგი კოდები:

I ლოტი – განსაკუთრებულად პრიორიტეტული კვლევებისათვის საჭირო დანადგარები, აპარატურა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მათი ცალკეული ნაწილები (150,000.00 და მეტი ლარის ღირებულების);

II ლოტი – ძვირადღირებული სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა (100,000.00-დან 149,999.00-მდე ლარის ღირებულების);

III ლოტი – სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება, უცხოური ელექტრონული ლიტერატურის ბაზებზე წვდომა (მაქსიმუმ 99,999.00 ლარის ღირებულებს);

IV ლოტი – რეაქტივები, რეაგენტები, ლაბორატორიული და საექსპერიმენტო სახარჯი მასალები (არაუმეტეს 25,000.00 ლარის ღირებულების);

V ლოტი – კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო ქსელისათვის საჭირო ელექტრონული ბაზები, სკანერები, ფოტო-ვიდეო გადაღებისათვის საჭირო ტექნიკა, სხვა კომპიუტერული აპარატურა და აქსესუარები (არაუმეტეს 15,000.00 ლარის ღირებულების);

VI ლოტი – ლიტერატურის შეძენა, თარგმნა, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები (არაუმეტეს 10,000.00 ლარის ღირებულების).

2. კონკურსზე წარმოდგენილი თითოეული განაცხადისათვის (პროექტისათვის) ფონდიდან მოთხოვნილი თანხა უნდა შეესაბამებოდეს დასახელებული ლოტის ბიუჯეტის ლიმიტს.

3. ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ტრანსპორტირებას, მონტაჟს, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლებას, რემონტს, დაზღვევას, საბაჟო გადასახადს, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურებას, უნდა გათვალისწინებული იყოს შესაბამისი ლოტის ბიუჯეტის ლიმიტის ფარგლებში.

4. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკონკურსო განაცხად(ებ)ი (პროექტ(ებ)ი) ლოტების შესაბამისად. თითოეული ლოტისათვის საპროექტო განაცხადი შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი №2 - ნიმუში, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი №3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

გ) პროექტის ბიუჯეტი (დანართი №4 - ნიმუში, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს არჩეული ლოტის შესაბამისად);

გ) პროექტის წარმომდგენი იურიდიული პირის „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ" (ნიმუში - დანართი №5, გენერირდება GMUS-დან) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით.

2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსების მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) დაფინანსებული ორგანიზაციის (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება) სახაზინო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება დაფინანსების თანხა და ცნობა, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ ორგანიზაციას (უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება) არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ფონდის გენერალური დირექტორის ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

4. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენასა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2022 წლის 28 იანვრიდან 15 თებერვლის 16:00 საათამდე;

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2022 წლის 22 თებერვლის 16:00 საათამდე.

2. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) დარეგისტრირებულნი იყვნენ პროექტში ჩართული იურიდიული და ფიზიკური პირები:

ა) საკონკურსო განაცხადის წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება რეგისტრირდება GMUS-ის „ორგანიზაციის პროფილში";

ბ) პროექტის ხელმძღვანელი რეგისტრირდება GMUS-ის „მეცნიერის პროფილში".

3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს კონკურსის პირობების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებასა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის ატვირთვას GMUS-ის შესაბამის ველებში თითოეული ლოტისათვის.

4. სავალდებულოა თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის მიერ წარმოსადგენი განაცხადისათვის რიგითი ნომრის მინიჭება (1, 2, 3).

5. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში.

6. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისად დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ."

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:
   ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
   ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
   გ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა;
   დ) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკურ ექსპერტიზა, ხარვეზის დადგენა და ხარვეზის გამოსწორების ვადის განსაზღვრა;
   ე) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მიერ;
   ვ) საკონკურსო კომისიისგან მიღებული შეფასებების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორთან წარდგენა დასამტკიცებლად;
   ზ) დასაფინანსებელლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;
   თ) ხელშეკრულებების გაფორმება.

2. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

კონკურსში მონაწილე განაცხადების (პროექტების) შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 პუნქტებით დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 8. დაფინანსების ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებას დაფინასებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და პროექტის ბენეფიციარ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულების ხელმძღვანელებთან.
2. ხელშეკრულება გაფორმდება იმ სუბიექტებთან, რომლებიც წარმოადგენენ „კონკურსის პირობების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
3. ხელშეკრულებაში დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.
4. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის დაფინანსება გადაირიცხება უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების სახაზინო ანგარიშზე ავანსის სახით ერთ ტრანშად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი განახორციელებს დაფინანსებული პროექტების შესრულების მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს დაფინანსებული პროექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლს.

2. მონიტორინგი გულისხმობს ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.

3. მონიტორინგის განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას პროექტის ბიუჯეტის ძირითად ხარჯვით კატეგორიებს შორის და ქვეკატეგორიებს შორის თანხის გადანაწილების ცვლილება და შესყიდვების რაოდენობის ცვლილება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას, თუ აღნიშნული ცვლილება არ გულისხმობს ახალი ქვეკატეგორიის დამატებას ან/და რომელიმე შესყიდვის ანულირებას.

5. სხვა სახის ცვლილების თაობაზე მოთხოვნა შეთანხმებული უნდა იყოს ფონდთან. სავალდებულოა, რომ ცვლილებები დაკავშირებული იყოს პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან და არ გულისხმობდეს პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ჯამური ოდენობის ზრდას.

6. დაფინანსების მიმღები ვალდებულია პროექტის განხორციელების დასასრულს ფონდში წარმოადგინოს ანგარიში დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

7. ანგარიშის განხილვისას პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაფინანსების მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.

8. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, მას შემდეგ რაც დაფინანსებული პროექტისათვის ავანსად გადარიცხულ ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში ფონდში წარდგენილია ანგარიში, ფონდის მიერ შედგენილია შესაბამისი განხილვის აქტი, მხარეთა შორის გაფორმებულია შედარების აქტი.

დანართი 2
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 18 იანვრის №02 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი
ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დაფინანსების მოპოვების მიზნით დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულისთვის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია „მხოლოდ 2 ლოტში, დაუშვებელია ორივე ლოტი იყოს ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ლოტებიდან. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი წარდგენილია ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ", „დ", „ე" და „ვ" ქვეპუნქტების შესაბამისად, განსაკუთრებული კვლევების საჭიროებისათვის აპლიკანტს აქვს უფლება დამატებით შეიტანოს მე-3 განაცხადი ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ან „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ლოტში".

განაცხადის რიგითი ნომერი	□ 1 □ 2 □ 3 (მონიშნეთ ერთ-ერთი)
საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა
პროექტისათვის მოთხოვნილი თანხა (ლარი)	ავტომატურად ივსება ბიუჯეტის შევსების შემდეგ

II გვერდი
ორგანიზაცია

ინფორმაცია განაცხადის წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ		
1	უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	
2	უსდ-ს სახელწოდება	
3	დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული (სავალდებულო ველი)	
4	უსდ-ს ხელმძღვანელი	
5	თანამდებობა	
6	უსდ-ს ვებგვერდი	
7	ელ.ფოსტა	
8	ტელეფონი	
9	მისამართი	
10	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს-უსდ)	

III გვერდი
პროექტის ხელმძღვანელი

1	დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის პირადი ნომერი	
2	დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
3	ელ.ფოსტა	
4	ტელეფონი	

IV გვერდი
ბიუჯეტი

ივსება GMUS-ში იხ. დანართი №4

დანართი №3

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 18 იანვრის N02 ბრძანებით

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსი

საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადების ფორმატის მახასიათებლები
გვერდის ველები: მინიმუმ 1სმ - მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ; მწკრივების ინტერვალი - მინიმუმ 1 სმ, შრიფტის ზომა: 11

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება			
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სახელწოდება			
დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის სახელი, გვარი (მიუთითეთ პოზიცია - დირექტორი /დირექტორის მოადგილე)			
განაცხადის ნომერი	□ 1	□ 2	□ 3
ლოტის ნომერი და დასახელება			
ლოტის პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)			

საპროექტო განაცხადი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის №1440035 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად საპროექტო წინადადების 1-ლი, მე-2 და მე-3 თავების შევსება სავალდებულოა I, II, III, IV და V ლოტების განაცხადებისათვის.

თავი 1. რამდენად შეუწყობს ხელს პროექტი სამეცნიერო კვლევის განვითარებასა და გაფართოებას
დაასაბუთეთ მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების მნიშვნელობა და აუცილებლობა დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულში დაგეგმილი საქმიანობების განსახორციელებლად. აღწერეთ დაგეგმილი აქტივობები/საქმიანობები, რომელთაც მოემსახურება პროექტი. დასახეთ პროექტის განხორციელების შედეგად სამეცნიერო კვლევ(ებ)ის მოსალოდნელი განვითარებისა და გაფართოების გზები.

თავი 2. განაცხადის კავშირი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიზნობრივ საკვლევ პროექტთან

წარმოადგინეთ ინფორმაცია სამეცნიერო კვლევით ერთეულში მიმდინარე და დაგეგმილი მიზნობრივი კვლევითი პროექტების შესახებ, რომელთანაც უშუალო კავშირშია წარმოდგენილი პროექტი.

სამეცნიერო კვლევით ერთეულში მიმდინარე თითოეული პროექტისათვის შეავსეთ ცხრილი

პროექტის შიფრი/ნომერი	
პროექტის სახელწოდება	
პროექტის ხელმძღვანელი	
დამფინანსებელი ორგანიზაცია	
პროექტის საერთო ბიუჯეტი	
პროექტის დაწყების და დამთავრების თარიღი	
პროექტის მოსალოდნელი შედეგები	
პროექტში ჩართული პერსონალის მთლიანი რაოდენობა	
პროექტში ჩართული ახალგაზრდა მეცნიერების რაოდენობა	

თავი 3. მკვლევართა და საკვლევი თემატიკის წრე (მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები), რომლისთვისაც სასარგებლო იქნება ახალი ტექნოლოგიების ათვისება/ახალ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა

3.1. რომელი სამეცნიერო მიმართულებ(ებ)ის, დარგებისა და ქვედარგების წარმომადგენელი მკვლევრები ისარგებლებენ აღნიშნული პროექტის განხორციელებით.

3.2. მიუთითეთ სამეცნიერო კვლევით ერთეულში დასაქმებულ მკვლევართა, (მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართა - მაგისტრანტთა, დოქტორანტთა, დოქტორთა, რომელთაც დოქტორის ხარისხი მიენიჭათ არაუმეტეს 7 წლისა კონკურსის გამოცხადების დღემდე) ჯამური რაოდენობა.

3.3. დაახლოებით რამდენი მკვლევარი იქნება პროექტით მოსარგებლე (მათ შორის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის თანამშრომლები და გარეშე პირები)

3.4. როგორ იქნება უზრუნველყოფილი მკვლევართა და სტუდენტთათვის ხელმისაწვდომობა.

თავი 4. ბიბლიოთეკის (როგორც სხვა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან განსხვავებული სპეციფიკური დაწესებულების) საწიგნო ფონდის განახლების, საავტორო უფლების მოპოვების, თარგმანის აქტუალობა და მნიშვნელობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად საპროექტო წინადადების ქვემოთ წარმოდგენილი თავის შევსება სავალდებულოა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის (როგორც სხვა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისაგან განსხვავებული, სპეციფიური დაწესებულების) განაცხადის, ასევე, თარგმანთან, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული განაცხადებისათვის“, რომელთა შეფასება განხორციელდება შეფასების მე-4 კრიტერიუმით.

4.1. დაასაბუთეთ საწიგნო ფონდის განახლების, საავტორო უფლების მოპოვების, თარგმანის აქტუალობა და მნიშვნელობა, მიზნობრივი აუდიტორია და მიზანშეწონილობა საბიბლიოთეკო მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

4.2. წარმოადგინეთ საწიგნო ფონდის განახლების გეგმა (ლიტერატურის ტიპის, ენის, ფორმატის, რაოდენობის და სხვა მახასიათებლების მითითებით).

4.3. წარმოადგინეთ ინფორმაცია სათარგმნი ლიტერატურის შესახებ, კერძოდ, მიუთითეთ ორიგინალის ნაბეჭდი გამოცემის ტიპი (წიგნი, სახელმძღვანელო, ცნობარი, ან სხვ.), სათაური, ავტორ(ებ)ი, გამომცემელი, გამოცემის წელი, ორიგინალის ენა, რომელ ენაზე უნდა ითარგმნოს, საავტორო უფლების მოპოვება, მთარგმნელი, თარგმანის რედაქტორი, თარგმანის გამომცემელი, ტირაჟი (ნაბეჭდი ვარიანტის შემთხვევაში).

4.4. დაასახელეთ და აღწერეთ პროდუქცია, რომლისთვისაც საჭიროა საავტორო უფლების მოპოვება და წარმოადგინეთ ინფორმაცია საავტორო უფლების მოპოვებისათვის განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

დანართი №4

ნიმუში - ივსება GMUS-ში

პროექტის ბიუჯეტი

I ლოტი

განსაკუთრებულად პრიორიტეტული კვლევებისათვის საჭირო დანადგარები, აპარატურა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მათი ცალკეული ნაწილები (150,000.00 და მეტი ლარის ღირებულების)

№	ხარჯვის კატეგორია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	განსაკუთრებულად პრიორიტეტული კვლევებისათვის საჭირო დანადგარები, აპარატურა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და მათი ცალკეული ნაწილები	0	-	0
1.1	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.2	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.3	მიუთითეთ სახელწოდება			0
2	ტრანსპორტირება, მონტაჟი, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლება, რემონტი, დაზღვევა, საბაჟო გადასახადი, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურება.	-	-	0
	ჯამი			0

II ლოტი

ძვირადღირებული სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა (100,000.00-დან 149,999.00-მდე ლარის ღირებულების)

№	ხარჯვის კატეგორია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	ძვირადღირებული სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა	0	-	0
1.1	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.2	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.3	მიუთითეთ სახელწოდება			0
2	ტრანსპორტირება, მონტაჟი, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლება, რემონტი, დაზღვევა, საბაჟო გადასახადი, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურება.	-	-	0
	ჯამი			0

III ლოტი სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება, უცხოური ელექტრონული ლიტერატურის ბაზებზე წვდომა (მაქსიმუმ 99,999.00 ლარის ღირებულების)				
№	ხარჯვის კატეგორია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	სამეცნიერო დანადგარები და აღჭურვილობა, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდის შევსება, უცხოური ელექტრონული ლიტერატურის ბაზებზე წვდომა	0	-	0
1.1	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.2	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.3	მიუთითეთ სახელწოდება			0
2	ტრანსპორტირება, მონტაჟი, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლება, რემონტი, დაზღვევა, საბაჟო გადასახადი, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურება.	-	-	0
	ჯამი			0

IV ლოტი რეაქტივები, რეაგენტები, ლაბორატორიული და საექსპერიმენტო სახარჯი მასალები (არაუმეტეს 25,000.00 ლარი ერთი განაცხადი)				
№	ხარჯვის კატეგორია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	რეაქტივები, რეაგენტები, ლაბორატორიული და საექსპერიმენტო სახარჯი მასალები	0	-	0
1.1	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.2	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.3	მიუთითეთ სახელწოდება			0
2	ტრანსპორტირება, დაზღვევა, საბაჟო გადასახადი და საბანკო მომსახურება.	-	-	0
	ჯამი			0

V ლოტი

კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო ქსელისათვის საჭირო ელექტრონული ბაზები, სკანერები, ფოტო-ვიდეო გადაღებისათვის საჭირო ტექნიკა, სხვა კომპიუტერული აპარატურა და აქსესუარები (არაუმეტეს 15,000.00 ლარი ერთი განაცხადი)

№	ხარჯვის კატეგორია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, საბიბლიოთეკო ქსელისათვის საჭირო ელექტრონული ბაზები, სკანერები, ფოტო-ვიდეო გადაღებისათვის საჭირო ტექნიკა, სხვა კომპიუტერული აპარატურა და აქსესუარები	0	-	0
1.1	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.2	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.3	მიუთითეთ სახელწოდება			0
2	ტრანსპორტირება, მონტაჟი, ხელსაწყოს სრულყოფილი ექსპლუატაციის სწავლება, რემონტი, დაზღვევა, საბაჟო გადასახადი, საგარანტიო ან/და საბანკო მომსახურება.	-	-	0
	ჯამი			0

VI ლოტი

ლიტერატურის შეძენა, თარგმნა, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები (არაუმეტეს 10,000.00 ლარი ერთი განაცხადი)

№	ხარჯვის კატეგორია	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	ლიტერატურის შეძენა, თარგმნა, საავტორო უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები	0	-	0
1.1	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.2	მიუთითეთ სახელწოდება			0
1.3	მიუთითეთ სახელწოდება			0
2	ტრანსპორტირება, დაზღვევა, საბაჟო გადასახადი და საბანკო მომსახურება.	-	-	0
	ჯამი			0

დანართი №5
გენერირდება GMUS-ით

RIM22_

სარეგისტრაციო შიფრი

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში მონაწილეობის შესახებ

განცხადება

მოგახსენებთ, რომ გავეცანით "სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440035 ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 18 იანვრის № 02 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას, მონაწილეობა მივიღოთ საგრანტო კონკურსში ზემოთ ხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) რეგისტრირებული პროექტისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. პროექტის ხელმძღვანელი ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პროექტი "სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში" მონაწილეობის მისაღებად.

პროექტი	
განაცხადის რიგითი ნომერი	
ლოტის დასახელება	
პროექტისათვის მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
პროექტის ხელმძღვანელი	
დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული	
დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	

ხელმოწერა			
განაცხადის წარმდგენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებება			
უსდ-ს სახელწოდება			
მისამართი			
ტელეფონი			
ელ. ფოსტა			
უსდ-ს ხელმძღვანელი		ხელმოწერა	
			ბ.ა